პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 236 (3720)

3 დეკემბერი, შაბათი. 1968 წ. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## ნ. ალექსანდრია — ქვეყნის ჩემპიონი

გუშინ თბილისში შედგა ნ. ალექსანდრია — ა. ჩაიკოვსკაიას საჭადრაკო მატჩის IV პარტია (III პარტია, რომელიც კვირას გათამაშდა, მოიგო ალექსანდრიამ). სიცილიურ დაცვაში ალექსანდრიამ თავიდანვე შეტევაზე ითამაშა. მალე მისმა იერიშმა მრისხანე სახე მიიღო. ცაიტნოტში ჩაიკოვსკაიამ ვერ ააწყო დაცვა და 38-ე სვლაზე ფარ-ხმალი დაყარა.

ამრიგად, მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაზე მოიგო ნ. ალექსანდრიამ — 3,5:0,5. მან მეორედ მოიპოვა საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი.

## რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე

### გურჯაანში...

დამთავრდა რაიონის პირველობა ფრენბურთში. ვაჟებში გაიმარჯვეს შაშიანელებმა, ქალებში კი პირველობა არავის დაუთმეს ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლებმა.

* * *

ქალაქის რუსულ საშუალო სკოლაში ჩატარდა ფრენბურთელთა შეჯიბრება. I ადგილი დაიკავეს მეცხრეკლასელებმა, II — მერვეკლასელებმა. კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ს. პავლენკო, მ. ლაპიაშვილი, ა. პიმენოვი, ო. გლადკოვი და სხვ.

* * *

დიდი ინტერესი გამოიწვია საკონსერვო ქარხანაში ჩატარებულმა მოშაშეთა ტურნირმა. ქარხნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ო. ზავრაშვილმა.

ი. ოდიშელიძე.

### ყვარელში...

კომკავშირის რაიკომმა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო ლაშქრობა ნინიკას ციხეზე. ლაშქრობას კომკავშირის ყვარლის რაიკომის მეორე მდივანი ო. შველიძე ხელმძღვანელობდა. მოლაშქრეებმა ციხის ნანგრევებში დაამაგრეს სამახსოვრო ნიშანი წარწერით: „კომკავშირის 50 წლისთავი".

* * *

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა საშუალო სკოლებს შორის. საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა ყვარლის მე-2 საშუალო სკოლამ.

* * *

ორკვირიანი ასპარეზობის შემდეგ დამთავრდა ენისლის № 2 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შიდასასკოლო სპარტაკიადა. შეჯიბრება ჩატარდა სპორტის 8 სახეობაში. საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს 119-ე ჯგუფის სპორტსმენებმა.

გ. გოგინაშვილი, გაზეთ „ყვარლის" ლიტმუშაკი.

### ცაგერში...

აქ ჩატარდა მოზარდ მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. ჭაბუკებში პირველობა ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლე ს. ცხვედიანმა დაისაკუთრა, გოგონებში კი უძლიერესი იყო ნანი ცხვედიანი (ლასურიაშის საშუალო სკოლა).

* * *

მოსწავლე კალათბურთელთა საშემოდგომო ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცაგერისა და ლასურიაშის საშუალო სკოლების წარმომადგენლები. შეხვედრები ცაგერელი გოგონებისა და ჭაბუკების გამარჯვებით დამთავრდა.

* * *

„კოლმეურნის" რაიონული თასის გათამაშება საინტერესოდ წარიმართა. თასის შარშანდელი მფლობელი — დეხვირის კოლმეურნეობის გუნდი ფინალში შეხვდა ცაგერის კოლმეურნეობის ფრენბურთელებს. ასპარეზობა დამთავრდა ცაგერელთა გამარჯვებით.

გ. ხვადაგიანი.

◆ მალიორკა, 2 დეკემბერი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VII ტურში დანიელმა დიდოსტატმა ბ. ლარსენმა 41-ე სვლაზე დაამარცხა ესპანელი ა. მედინა. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა ბ. სპასკის პარტია პ. ბენკოსთან (აშშ) და ვ. კორჩნოისა — ა. მატანოვიჩთან (იუგოსლავია). ასევე არ დასრულებულა ტ. პეტროსიანის შეხვედრა იუგოსლაველ ს. გლიგორიჩთან. მსოფლიო ჩემპიონს ჯერჯერობით 3,5 ქულა აქვს. დ. კორალთან ადრე გადადებული მისი პარტია ყაიმით დამთავრდა. 7 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ლარსენმა, რომელსაც 6 ქულა აქვს. VIII ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლარსენ—სპასკის შეხვედრა.

◆ ბერლინი, 2 დეკემბერი. სახელგანთქმული გერმანელი მოჭადრაკის ე. ლასკერის მემორიალში დაწინაურდა დ. ბრონშტეინი, რომელსაც 8 ქულა აქვს. XI ტურში მან მოუგო პარტია ა. ჰენინგსს (გდრ). II ადგილზეა ვ. ულმანი (გდრ) — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. III ადგილი 7,5 ქულით უჭირავს ე. ვასიუკოვს. ადრინდელი ლიდერი ა. სუეტინი მოულოდნელად დამარცხდა იუგოსლაველ დ. მინიჩთან და ახლა 7 ქულით IV ადგილზეა.

◆ სანტ-იაგო, 2 დეკემბერი. ბრაზილიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა კვლავ მოიხვეჭა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის სახელი. კონტინენტის 6 უძლიერესი გუნდის მონაწილეობით გამართულ ტურნირში მან წაუგებლად იასპარეზა. გადამწყვეტ მატჩში ბრაზილიელებმა ანგარიშით 67:51 (34:26) დაამარცხეს ჩილის ნაკრები. ჩილიელები II ადგილზე დარჩნენ. III ადგილი დაიკავა არგენტინის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე არიან: ეკვადორელები, პერუელები და პარაგვაიელები.

◆ ბუქარესტი, 2 დეკემბერი. ხელბურთელ ქალთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა გდრ-ის ნაკრებმა, რომელმაც დაისაკუთრა კიდეც „ბუქარესტის თასი". II ადგილზე არიან იუგოსლაველები. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც ბოლო ორ ტურში წააგო იუგოსლაველებთან (11:19) და მოუგო უნგრელებს (16:12), III ადგილი დაიკავა.

## „მოსკვიჩები" ავსტრალიაში გაცურავენ

ბომბეი, 2 დეკემბერი. ოთხივე საბჭოთა „მოსკვიჩმა" წარმატებით დაასრულა გამოსვლა ლონდონ—სიდნეის რალიში მონაკვეთზე ინგლისის დედაქალაქიდან ბომბეიმდე. და ეს მაშინ, როცა მანქანების თითქმის ნახევარმა ვერც კი მიაღწია ინდოეთის ოკეანის ამ ნავსადგურს: ლონდონში სტარტი აიღო 98 მანქანამ, ბომბეიში კი მხოლოდ 57 ეკიპაჟი ჩამოვიდა. რალიში ლიდერობს რ. კლარკისა (ინგლისი) და ო. ანდერსენის (შვეცია) ინტერნაციონალური ეკიპაჟი, რომელიც „ფორდ-ლოტუსით" ასპარეზობს. ამ წყვილს მხოლოდ 11 საჯარიმო ქულა აქვს.

საბჭოთა სპორტსმენები შემდეგ ადგილებზე არიან: ს. ტენიშჩევის ეკიპაჟი 28-ე ადგილზეა (73 საჯარიმო ქულა); უ. აავის — 33-ზე (151); ა. იპატენკოსი — 39-ზე (250); ვ. შჩაველევისა — 50-ე ადგილზე (470).

შეჯიბრება ირანის, ავღანეთის, პაკისტანისა და ინდოეთის ტერიტორიაზე მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. თეირან—ქაბულის 2405-კილომეტრიან მონაკვეთზე საჭირო შეიქნა 23 საათის განმავლობაში შეუსვენებლად რბოლა (უმთავრესად, სამთო გზებით) საათში 105 კმ საშუალო სიჩქარით. ზოგიერთ მონაკვეთზე მთლიანად დატვირთული „მოსკვიჩები" საათში 160 კმ სისწრაფეს ავითარებდნენ და საბჭოთა ავტომობილებმა, რომლებიც „ავტოექსპორტმა" აღჭურვა, საუკეთესო თვისებები გამოიჩინა.

ამჟამად მრბოლელებს თავიანთ ავტომობილებთან ერთად ათდღიანი საზღვაო მოგზაურობა მოუწევთ ავსტრალიაში. შემდეგ ისინი „მწვანე კონტინენტის" გზებზე განაგრძობენ შეჯიბრებას.

## წააგო... ნორვეგიულმა სპორტმა

სტოკჰოლმი, 2 დეკემბერი. მსოფლიო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში შვეციაში გაიმართება 9-16 თებერვალს. ასე გადაწყვიტა შაიბიანი ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ, რომლის სხდომა ორი დღის წინ ჩატარდა სტოკჰოლმში.

ეს ჩემპიონატი ნორვეგიაში უნდა გამართულიყო. მაგრამ ნორვეგიის სპორტის მესვეურებმა „ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარება" მოიმიზეზეს და უარი თქვეს მასპინძლობაზე. უფრო გვიან ისინი დაფიქრდნენ, გადაწყვიტეს ნაჩქარევი აზრი შეეცვალათ და საერთაშორისო კავშირს სთხოვეს ჩემპიონატი მათს ქვეყანაში გამართონ 1970 წელს, როცა შაიბიანი ჰოკეის ნორვეგიულ კავშირს 50 წელი უსრულდება.

შაიბიანი ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია არ დათანხმდა ჩემპიონატის გადატანის მოტივებს და ამ შეჯიბრების მოწყობა შვედებს დაავალა.

წაგებით კი, თავისი ხელმძღვანელების პოლიტიკური მანიპულაციების წყალობით, წააგო მხოლოდ ნორვეგიულმა სპორტმა...

(საკდესი).

## საფეხბურთო ემანსიპაცია



დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სულ უფრო ფართოდ გავრცელდა ქალთა ფეხბურთი. როგორც ფრანგული გაზეთი „ეკიპი" იუწყება, დღეისთვის ევროპაში ფეხბურთელ ქალთა 70 გუნდია. ამ კლუბების წარმომადგენლები უკვე სვამენ ფეხბურთელ ქალთა სპეციალური მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების საკითხს.

ამას წინათ ლისაბონის სტადიონზე გაიმართა საფეხბურთო მატჩი პორტუგალიის პირველობაზე. მატჩს წინ უსწრებდა პორტუგალიის სახელგანთქმული კლუბის — „ბენფიკას" ფეხბურთელთა ცოლებისა და საპატარძლოების განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო:

„მოგვწყინდა მხოლოდ მაყურებლად ჯდომა იმ დროს, როცა ჩვენი ქმრები და საქმროები ბურთს დასდევენ და ჩვენ იოტისოდენ ყურადღებასაც არ გვაქცევენ. ამიტომ მტკიცედ გადავწყვიტეთ შეგვექმნა საკუთარი გუნდი და გამოვიწვიოთ სხვა ქვეყნების ქალთა უძლიერესი ნაკრები გუნდები".

ეს გამოწვევა მყისვე მიიღო ფეხბურთელ ქალთა კლუბმა „ფკ ლონდონმა". ინგლისის გუნდი ლისაბონს ჩავიდა. მსაჯობა სთხოვეს „ბენფიკას" ცნობილ ფეხბურთელს, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის გმირს ეუსებიოს. მაგრამ ამ უკანასკნელმა ცივი უარი თქვა:

„მირჩევნია უფასოდ ვითამაშო რამდენიმე შეხვედრაში, ვიდრე უდიდესი გასამრჯელოს ფასად ვიმსაჯო ფეხბურთელ ქალთა თუნდაც ერთ მატჩში". თუმცა ეუსებიო ბოლოსდაბოლოს მაინც დაიყოლიეს, რომ პირველი სასტვენი მისი ყოფილიყო, მერე კი გამარჯვებული გუნდის კაპიტანი გადაეკოცნა და პრიზი გადაეცა მისთვის.

შეხვედრა ანგარიშით 3:1 მოიგეს „ბენფიკას" წარმომადგენლებმა. როგორც ხედავთ, ჩვენი ქმრები და საქმროები არ შეგვირცხვენიაო, — განაცხადეს მათ გამარჯვების შემდეგ.

სურათზე: ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი ეუსებიო მატჩის დაწყების წინ სასტვენით.

ფოტო „კვიკ"—აას-იხა.

## ხოცვა-ჟლეტა მწვანე მინდორზე

„ამერიკული ფეხბურთი ბოროტმოქმედებად იქცა", — სინანულით წერს გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი კოლუმნი". „მოთამაშეები თავისუფლად გაშვებულ გარეულ მხეცებს ჰგვანან", — აღნიშნავს იგივე გაზეთი და ხაზს უსვამს, რომ გუნდების მთავარ მიზნად იქცა არა ახალი ტაქტიკური ვარიანტების ძიება და გამოყენება, არამედ სწრაფვა მოწინააღმდეგეთა დასახიჩრებისკენ.

საკმარისია თუნდაც ერთხელ მოხვდე ამერიკის სტადიონზე, რომ უსიტყვოდ დაეთანხმო „ნიუ-იორკ დეილი კოლუმნს". მოთამაშეები მინდორზე ნამდვილ ხოცვა-ჟლეტას მართავენ. მცველებს მიწაზე ანარცხებენ თავისუფალი ჭიდაობის არსენალიდან ნასესხები ილეთებით და ამას გარდა თავდამსხმელები ცდილობენ მეტოქეებს სერიოზული ტრავმა მიაყენონ.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ფეხბურთელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯო ნამატი ამას წინათ ჰყვებოდა, თუ როგორ მოექცნენ „ოკლენდის" თავდამსხმელები, როცა ცდილობდნენ მისთვის ფეხი ამოეგდოთ და მოეტეხათ.

ამერიკული ფეხბურთის წესებით, „განუზრახველი უხეშობა" მინდორზე ისჯება იმით, რომ დამნაშავე მოთამაშის გუნდს უკან, საკუთარი კარისკენ დასწევენ 15 იარდით. შეიძლება წარმოიდგინოთ „ოკლენდის" მიერ ამას წინათ „ჯეტსთან" ჩატარებული თამაშის სტილი, თუ მსაჯი იძულებული იყო გუნდი უკან დაეწია... 145 იარდით.

„ოკლენდის" ეს ჭეშმარიტად სკანდალური მატჩი „ჯეტსთან" სულაც არ წარმოადგენს გამონაკლისს: მარტო მიმდინარე სეზონში 26 ამერიკული პროფესიული გუნდიდან მხოლოდ ექვსმა შეძლო შეენარჩუნებინა თავისი შემადგენლობა. დანარჩენ გუნდებში ზედიზედ რამდენიმე მოთამაშე ერთბაშად გამოდიოდა ხოლმე მწყობრიდან საკმაოდ ხანგრძლივი დროით და ზოგჯერ სამუდამოდაც.

ამერიკული პრესის ზოგიერთი ორგანო ახლა შეუდგა კამპანიას ამ „საფეხბურთო მკვლელობის" თავიდან აცილებისთვის და მოითხოვს აშშ-ს მწვანე მინდვრებზე ბოლოსდაბოლოს დამყარდეს წესრიგი. მაგრამ ფეხბურთის საქმოსანთა უმეტესობა და მათზე დამოკიდებული მსაჯები საჯაროდ აცხადებენ, რომ ამერიკული ფეხბურთი „უხეშია თავისი არსით" და სწორედ ეს ხდის მას ასე პოპულარულს „ჩვენს ულმობელ დროში".

ეს საქმოსნები დარწმუნებული არიან, რომ სწორედ ეს სისასტიკე იზიდავს ამერიკელ მაყურებელს სტადიონებზე. ამიტომაც ისინი განაგრძობენ ამ სისასტიკის კულტივირებას და დიდ მოგებასაც პოულობენ.

ს. ბასკაკოვი. (საკდესის კორ.).

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### ენთუზიასტი

სულ ახლახან სასოფლო-სამეურნეო არტელ „სოვეტსკაია მოლდავიას“ გამგეობის მორიგ სხდომაზე დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობის დაწყება გადაწყდა...

ყველაფერი დაიწყო მას შემდეგ, რაც არმიიდან სოფელ ბეშ-გიოზში კომკავშირელი პეტრე ტიულიუ დაბრუნდა.

არმიაში იგი პირველთანრიგოსანი მოჭიდავე გახდა. ჭიდაობა იმთავითვე საყვარელი სპორტია ამ სოფლის მოსახლეობისა. და პეტრემ დასაწყისისთვის ჭიდაობის სექცია ჩამოაყალიბა. კოლმეურნეობის გამგეობამ მხარი დაუჭირა ენთუზიასტს, გამოჰყო სახსრები ინვენტარის შესაძენად და სპორტსმენებს გადასცა ერთი დიდი სახლი, რომელიც სპორტდარბაზად გადააკეთეს.

სექციაში თავიდან 40 წევრი იყო. მწვრთნელმა ახალგაზრდებს შტანგით და ორბირთულებით ვარჯიში ასწავლა, განრიგში შეიტანა სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, კრივი. მალე ვარჯიშის მსურველთა რიცხვმა 100 კაცს გადააჭარბა. სპორტდარბაზში გოგონებიც გამოჩნდნენ. ისინი ვარჯიშობდნენ აკრობატიკაში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში.

შემდეგ გაიხსნა ფეხბურთისა და ხელბურთის სექციები. წვრთნა დაიწყეს მსროლელებმა, მძლეოსნებმა. რაიონში შეჯიბრება აღარ ჩატარდებოდა, რომ ამ კოლმეურნეობის გუნდებსაც არ მიეღოთ მონაწილეობა. ბევრჯერ საპრიზო ადგილებიც დაიკავეს. პ. ტიულიუ და გ. კლეჩკოვი ეროვნულ ჭიდაობა „ტრინტეში“ რესპუბლიკური ტურნირის ფინალშიც გავიდნენ, თავიანთ წონით კატეგორიებში II და IV ადგილები დაიკავეს. ტიულიუ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრია თავისუფალ ჭიდაობაში და საკავშირო სარბიელზეც უცდია ძალა.

ამას წინათ ბეშ-გიოზმა თავისი ჭაბუკები საბჭოთა არმიაში გაგზავნა. მათგან თერთმეტს სპორტული თანრიგი ჰქონდა. და ეს მხოლოდ მეხუთედია 1968 წელს მომზადებულ თანრიგოსანთა საერთო რიცხვისა.

ა. მოტნიაკი.

ჩადირ-ლუნგა,
მოლდავეთი.

### მოციგურავეებისა და... დათვებისთვის

**ლენინგრადი**, 30 ნოემბერი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლენინგრადის ექსპერიმენტული ქარხანა „სპორტის“ ნიჭიერი ოსტატები ჩვენი მოციგურავეების ბევრი რეკორდის თანაავტორები არიან. სწორედ მათი ხელით კეთდება „სწრაფი“ ციგურები. ამ პატარა საწარმომ უნდა იზრუნოს ყინულის ბილიკების ოხტატებისთვის, ჰოკეის სახელგანთქმული რაინდებისთვის, ფიგურისტებისთვის, ყინულზე ბალეტის მსახიობებისთვის და... ა. მაიოროვის გაწვრთნილი დათვებისთვისაც კი. სხვათა შორის, ამ უკანასკნელთ საგანგებო ციგურები სჭირდებათ ყინულის სარბიელზე გამოსასვლელად.

წლეულს ქარხანამ ციგურების 75 ათასი წყვილი დაამზადა დაკვეთით ქვეყნის მოწინავე სპორტსმენებისთვის. გამოუშვეს პროტექტორიანი ჰოკეის ციგურების საცდელი პარტიაც. ეს სიახლე მოიწონა სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციამ და სულ მალე ახალი ციგურების ფართო წარმოება დაიწყება.

# ძალოსანთა გაახლებული ფიცარნაგი

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ოლიმპიური კონგრესი მეხიკოში ამ სახეობაში შეჯიბრების წინ მოეწყო. კონგრესმა მუშაობა დაიწყო ფედერაციაში ახალი წევრების მიღებით. ფედერაციის წევრი ქვეყნების რიცხვმა ასს მიაღწია.

მოისმინეს პოლონეთის დელეგატის მოხსენება 1969 წლის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებისთვის მზადების შესახებ. შემდეგ კონგრესმა დაამტკიცა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძელთა კანდიდატურები: 1970 წელს ტურნირი გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1971 წელს — პერუში; 1971 წლის ევროპული პირველობა მოეწყობა ბულგარეთში, 1972 წლისა — რუმინეთში.

ყურადღების ცენტრში იყო ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის არჩევნები. მიუხედავად მრავალი დელეგატის კრიტიკისა, პრეზიდენტად მაინც კ. ჯონსონი (აშშ) აირჩიეს, ხოლო გენერალურ მდივნად დარჩა მისი თანამოაზრე ო. სტეიტი (დიდი ბრიტანეთი).

ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს გ. ბარაონა (მექსიკა), ჟ. დამი (საფრანგეთი), ა. მედვედევი (სსრ კავშირი), ს. ნისიკავა (იაპონია), გ. შიოდლი (ავსტრია), ე. პოულა (ჩეხოსლოვაკია). არჩევნებით განისაზღვრა ბიუროს 8 წევრის ვინაობაც. ესენი არიან: გ. ბესერა (ესპანეთი), პ. კარე (ფინეთი), ლ. ლეონი (პანამა), ე. დოროტეო (ფილიპინები), კ. ალანი (კანადა), დ. აბრახამი (ინდოეთი), ს. ბერგამაჩი (იტალია) და ი. ვიტუცკი (პოლონეთი). საბჭოთა კავშირიდან ტექნიკურ კომისიაში არჩეულია ა. ვორობიოვი.

კონგრესი მხოლოდ ერთ დღეს მუშაობდა, მაგრამ მიღებულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობით განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს თანამედროვე ძალოსნობაში. კონგრესმა უარყო კულტურიზმი და ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული.

საერთაშორისო სპორტის განვითარებაში საბჭოთა ძალოსნების წვლილის აღსანიშნავად კონგრესმა გადაწყვიტა რუსული ენა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ენად სცნოს. გადაწყდა, რომ მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატები, კონტინენტური და რეგიონალური თამაშები 1972 წლის შეჯიბრების ჩათვლით ექსპერიმენტის სახით გაიმართოს 9 წონით კატეგორიაში. არსებულ კატეგორიებს დაუმატეს კიდევ ორი: 52 კილოგრამამდე და 110 კილოგრამს ზევით.

კონგრესმა გადაწყვიტა მსოფლიოს, ევროპის, კონტინენტური და რეგიონალური თამაშების ჩემპიონის წოდება შემოიღოს ოლიმპიური სამჭიდის ცალკეულ სახეობებშიც — აჭიმვაში, ატაცსა და აკვრაში. მონაწილენი, რომლებიც ამ მოძრაობებში დაიკავებენ I, II და III ადგილებს, შესაბამისად დაჯილდოვდებიან ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით. ჩვენი აზრით, ეს გადაწყვეტილება განამტკიცებს ძალოსნობის პრესტიჟს. მას პროგრესული მნიშვნელობაც აქვს სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისთვის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

რამდენადაც ამ ბოლო ხანს აჭიმვაში შეჯიბრების დროს მსაჯობა ყოველთვის დამაკმაყოფილებელი ვერ არის, ცხარე კამათი გამოიწვია საკითხმა: დარჩეს თუ არ დარჩეს ეს ვარჯიში შეჯიბრების პროგრამაში? ხანგრძლივი და ურთიერთსაწინააღმდეგო გამოსვლების შემდეგ 28 კაცმა ხმა მისცა ამ ვარჯიშს, ხოლო 22 წინააღმდეგი იყო პროგრამაში მისი დატოვებისა. ამრიგად, თუ საკითხი კვლავ არ აღიძრა, მომავალ ოლიმპიურ კონგრესამდე ეს მოძრაობა შეჯიბრებების პროგრამაში რჩება.

მაგრამ, როგორც ვფიქრობთ, ზემოხსენებულმა კამათმა ხელი შეუწყო აჭიმვაში შეჯიბრებების უფრო მკაცრ მსაჯობას მეხიკოში, თუმცა არბიტრები ყველა წონით კატეგორიაში ერთნაირი სიმკაცრით როდი მოეკიდნენ ამ მოძრაობას. ზოგიერთ შემთხვევაში მათ ზედმეტი გულმოდგინებაც გამოიჩინეს. საბჭოთა ძალოსნებმა აჭიმვაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მხოლოდ ერთხელ არ ჩათვალეს ბ. სელიცკის მიერ აჭიმული წონა (155 კგ).

დამატებებია შეტანილი წესების ზოგიერთ პუნქტში. მაგალითად, თუ ატლეტს სურს გაზარდოს საწყისი წონა, მან ეს ფიცარნაგზე გამოძახებამდე უნდა შეატყობინოს ოფიციალურ პირებს.

სამწუხაროდ, კონგრესი მუდამ როდი იდგა მის წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე. მაგალითად, მხარი არ დაუჭირეს წინადადებას საპელაციო ჟიურის ფუნქციების აღდგენის თაობაზე, თუმცა არსებული მდგომარეობის მიხედვით ამ ჟიურის პრაქტიკულად არავითარი ძალა არა აქვს.

კიდევ ერთი გადაწყვეტილების შესახებ. კონგრესმა დაადგინა: თუ შეჯიბრების მასპინძელი სახელმწიფოს მთავრობა ზოგიერთი მონაწილე ქვეყნის დროშის აღმართვის უფლებას არ იძლევა, მედროშეებს მოაქვთ წარწერა მხოლოდ ქვეყნის დასახელებით, ხოლო გახსნის ცერემონიალზე აღიმართება მხოლოდ ამ ქვეყნისა და ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციების დროშები. ასეთ შემთხვევებში დაჯილდოების ცერემონიალის დროს არ აღიმართება არც ერთი დროშა და არ შესრულდება არც ერთი ჰიმნი. მათ ნაცვლად გაისმის ფანფარების ხმა ან ოლიმპიური ჰიმნი.

ამ ორჭოფულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც დიდი ბრძოლის შედეგად მიიღეს, კმაყოფილება როდი გამოიწვია, ვინაიდან აქ ძნელი არაა შენიღბული დისკრიმინაციის დანახვა. ფაქტიურად, ეს გადაწყვეტილება მიმართულია გდრ-ისა და კორეს სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა წინააღმდეგ. მაგრამ ამ ქვეყნების სპორტსმენები მრავალი საერთაშორისო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრები არიან და მიკუთვნებული აქვთ სახელმწიფოებრივი ნიშნების, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიტუალის დაკანონების უფლება.

დიდი კამათი გამოიწვია ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციიდან სამხრეთ აფრიკის მოყვარულ ძალოსანთა კავშირის გარიცხვის საკითხმა. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ქვეყანაში რასობრივი დისკრიმინაციაა, კომისიას, რომელიც სამხრეთ აფრიკაში ამ საკითხის შესწავლას აპირებდა, ვიზებზე უარი უთხრეს. ზოგიერთი წარმომადგენლის აზრის საწინააღმდეგოდ, ინგლისურ-ამერიკულმა უმრავლესობამ მაინც მიაღწია იმას, რომ ამ საკითხის განხილვა კიდევ 9 თვით გადაიდო. ვადის ეს გადატანა უკანასკნელია.

ა. მედვედევი,
ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მეხიკო — მოსკოვი.



ს უ რ ა თ ზ ე: ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ვ. კურენცოვი ასპარეზობისას.

საკდესის ფოტოქრონიკა.

# მემორიალი დაიხურა

**გორი**, 1 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ გორის დრამატულ თეატრში საზეიმოდ დაიხურა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი.

საზეიმო საღამო გახსნა მემორიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, გორის აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ხინჩიკაშვილმა. მემორიალის სპორტულ და შემოქმედებით შედეგებზე ილაპარაკა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა თ. გიორგაძემ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელმა ჭადრაკში, საერთაშორისო არბიტრმა გ. გაჩეჩილაძემ მ. ტალსა და ბ. გურგენიძეს (ე. გელერი ადრე გაემგზავრა მოსკოვს) დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. სპორტული საზოგადოებრიობის სახელით მან დიდი მადლობა გადაუხადა გორის მესვეურთ მემორიალის შესანიშნავად ჩატარებისთვის.

მემორიალის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა გორის საწარმო-დაწესებულებათა პრიზებით: მ. ტალი — ყველაზე მეტი (6) მოგებისთვის, ბ. გურგენიძე—ლამაზი კომბინაციისთვის (ლ. გრიგორიანთან შეხვედრაში), ნ. გაფრინდაშვილი — ვაჟთა ტურნირში ახალი თვალსაჩინო წარმატებისთვის, ე. გუფელდი — ქალთა მსოფლიო ჩემპიონთან პარტიაში გამარჯვებისთვის, რ. ჯინჯიხაშვილი — აგრესიული თამაშისთვის, ლ. გრიგორიანი—შეუპოვარი დაცვისთვის მ. ტალთან პარტიაში, ი. ჩიქოვანი—ყველა შეხვედრაში შემოქმედებითი ძიებისთვის, ზ. მიქაძე — როგორც ოსტატობის კანდიდატი ოსტატებთან მოპოვებული კარგი შედეგებისთვის, ა. ბოკუჩავა — მ. ტალთან გამარჯვებისთვის, გ. მუკნიაშვილი — გულკეთილი მასპინძლობისთვის.

მონაწილეთა სახელით სიტყვა წარმოთქვეს ნ. გაფრინდაშვილმა და მ. ტალმა, ხოლო გორელი გულშემატკივრების დავალებით — ექიმმა ვ. კასრაძემ.

თბილისელმა მხატვარმა-ოქრომჭედელმა კ. ქუთათელაძემ გორის მესვეურთ სამახსოვროდ გადასცა მემორიალისადმი მიძღვნილი თავისი ჭედური ნამუშევარი, ხოლო ნ. გაფრინდაშვილს — თავისივე ნაკეთები ბეჭედი.

საღამო დასრულდა კონცერტით.

# მთები ასახელებენ უძლიერესებს

სსრ კავშირის მთამსვლელობის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიამ დაადგინა XIX საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულთა ვინაობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „ავანგარდის“, „ბურევესტნიკის“, „ტრუდის“, „ზენიტის“, „ლოკომოტივის“, „ტაჯიკისტანის“, „სპარტაკისა“ და არმიელთა 22 გუნდი. განსაკუთრებული წარმატებით გამოვიდნენ სპარტაკელები, რომელთაც ოთხიდან სამ კლასში ოქროს მედლები მოიპოვეს.

ტექნიკურად რთული კლასის ასვლებში I ადგილი დაიკავა „ავანგარდის“ გუნდმა, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მონოგაროვი ხელმძღვანელობდა. გუნდი ჩრდილოეთ უშბაზე ავიდა აღმოსავლეთის კედლით. II ადგილზე გავიდნენ „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლები, რომლებმაც ჩრდილოეთის კედლით დაიპყრეს ჩანჩახი-ხოხი. კრუმკოლზე ასვლით ბრინჯაო დაისაკუთრეს „ტრუდის“ სპორტსმენებმა.

სიმაღლოვან-ტექნიკური ასვლების კლასში (5000 მეტრზე მაღალი მწვერვალები) ოქროს მედლები მოიხვეჭეს ყაბარდო-ბალყარეთის სპარტაკელებმა, რომლებმაც სპორტის ოსტატ გ. სტეპანოვის ხელმძღვანელობით კედლით დაიპყრეს ოგპუ-ს მწვერვალი (პამირი). II ადგილზე გავიდა „ტრუდის“ გუნდი ენგელსის მწვერვალის სამხრეთის კედლით დაპყრობით (სამხრეთ-დასავლეთი პამირი). III ადგილიც „ტრუდის“ წარმომადგენლებს მიეკუთვნათ „ტაჯიკისტანის“ დაპყრობისთვის.

სიმაღლოვანი ასვლების კლასში (6000 მეტრზე მაღალი მწვერვალები) I ადგილი ხვდათ ლენინგრადის სპარტაკელებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის პ. ბუდანოვის ხელმძღვანელობით კომუნიზმის მწვერვალის (7495 მ) აღმოსავლეთის კონტრფორსისთვის. ვერცხლი არმიელებმა მოიპოვეს რევოლუციის მწვერვალის (6974 მ, ჩრდილოეთ-დასავლეთი პამირი) დაპყრობისთვის. ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს დონეცკის „ავანგარდის“ წარმომადგენლებმა — კორჟენევსკაიას მწვერვალზე (7105 მ) ასვლისთვის.

ტრავერსების კლასში გაიმარჯვეს ყაზახეთის სპარტაკელებმა (ხელმძღვანელი — სპორტის ოსტატი ბ. სტუდენინი), რომლებმაც ტიან-შანის მწვერვალთა (მატერი — კომკავშირის 50 წლისთავი — სალადინი — ხან-თენგრი) ტრავერსი შეასრულეს. II ადგილზე არიან ლენინგრადის „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები, რომლებმაც განახორციელეს პამირის მწვერვალების: ენგელსის — მარქსის — ტაჯიკისტანის ტრავერსი. III ადგილზე დარჩნენ დონის როსტოვის „ლოკომოტივის“ სპორტსმენები კავკასიონის მწვერვალთა (დალარი — ლეონინაშკა—ზამოკი) გავლისთვის.

## რაიონების სპორტული ქრონიკა

### რუსთავი

მე-18 საშუალო სკოლაში თვენახევარს გაგრძელდა შიდასასკოლო სპარტაკიადა. მოსწავლეებმა იასპარეზეს მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში, ფრენბურთში, კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

მანანა ძიძიგური.

### ახალციხე

სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა ქალაქის სკოლების პირველობა ხელბურთში. გოგონებში უძლიერესის სახელი მოიპოვეს 1-ლი სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა, ჭაბუკებში — მე-2 საშუალო სკოლის ხელბურთელებმა.

თ. ჯიშკარიანი,
სპორტსკოლის მასწავლებელი.

### თელავი

გაიმართა რაიონის კოლმეურნე-ძალოსანთა პირად-გუნდური შეჯიბრება. გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს სოფელ ფშაველის სპორტსმენებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ყველას აჯობეს: გ. სივსივაძემ, გ. მაისურაძემ, გ. თავზარაშვილმა (სამივე — სოფელი ფშაველი), ა. თედეევმა, ო. ქევხიშვილმა (ორივე — წინანდლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), ა. ხოლუაშვილმა (სოფელი ნაფარეული) და თ. მებალიშვილმა (სოფელი იყალთო).

• • •

ჩატარდა საფეხბურთო თასის გათამაშება სასკოლო გუნდებს შორის. 16 კოლექტივში უძლიერესის სახელი მოიპოვეს თელავის მე-3 საშუალო სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა.

გ. ელიოზიშვილი.

### წალენჯიხა

საინტერესოდ ჩატარდა ქუჩების ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავს. საუკეთესოდ ითამაშეს მარქსის ქუჩის ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ჯ. ბაჩუკაშვილი), რომლებმაც I ადგილი დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ პუშკინისა და კომკავშირის ქუჩების გუნდები.

თ. ხალია.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# პირველი ქულა

თბილისი. სპორტის სასახლე. 1 დეკემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ) 71:70 (41:33).

„დინამო": სხიერელი (გუნდს შესძინა 19 ქულა), მოსეშვილი (12), ლეჟავა (11), ქორქია (11), უგრეხელიძე (8), საკანდელიძე (6), ქარაბაკი (4), ნარიმანიძე.

„კალევი": ტომსონი (21), კრიკუნი (21), ტამისტე (10), ლეპმეტსი (7), ლილი (6), პარბო (5), მეტსარი, ლენციუსი.

მსაჯები: ო. კამიშოვი, ა. ჟოლენძი (ორივე — მოსკოვი).

ანგარიში კალათბურთელთა XXXVI საკავშირო ჩემპიონატის პირველ კალენდარულ მატჩზე გვსურს დავიწყოთ პასუხით სპორტის მოყვარულთა იმ მრავალრიცხოვან შეკითხვებზე, რომელთაც რედაქცია ყოველდღიურად იღებს: — რატომ თამაშობს თბილისის „დინამო" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, ხოლო ცსკა იმავე რანგის, ოღონდ უფრო პოპულარულ ასპარეზობაში — ჩემპიონთა თასზე? მართლაც, რა იურიდიული უფლება აქვს მოსკოვის არმიელთა კოლექტივს გამოვიდეს ჩემპიონთა ტურნირში, როცა მას შინ პირველი კი არა, მეორე ადგილიც არ აუღია? ან რატომ მიავლინეს თბილისის გუნდი თასების მფლობელთა ასპარეზობაში, როცა ჩვენში მსგავსი ტურნირი არც-კი იმართება და, ბუნებრივია, არც გვყავს თასის მფლობელი?

ყველაფერი ეს გაკვირვებას იწვევს, თუ ზემოაღნიშნულ ჩემპიონატებს საკლუბო ინტერესების თვალით შევხედავთ. მაგრამ კალათბურთის საკავშირო ფედერაციას უფრო კანონიერი და გასაგები სურვილი ამოძრავებს — ნახოს ჩვენი გუნდები გამარჯვებულთა რიგებში. აი, სწორედ ამიტომ მოახდინა მან ეს, ერთი შეხედვით, უცნაური გადაჯგუფება.

როგორც ცნობილია, წინა საკავშირო ჩემპიონატში მოსკოვის არმიელთა კოლექტივი „ოლიმპიური მიზეზით" საკმაოდ დასუსტებული იყო. დასუსტებული იყო თბილისის „დინამოც", რომელსაც თითქმის მთელი სეზონის მანძილზე ორი ძირითადი მოთამაშე ნაკრებში ჰყავდა მივლინებული. და მაინც, დინამოელებმა წარმატებით გაართვეს თავი სირთულეებს და დაისაკუთრეს I ადგილი, რაც ავტომატურად ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასში მონაწილეობის უფლებას იძლეოდა. მაგრამ კალათბურთის საკავშირო ფედერაციას მიაჩნია (და სამართლიანადაც!), რომ დღესდღეობით სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ცსკა (თავისი ძირითადი შემადგენლობით) უფრო ღირსეულად დაიცავს საბჭოთა კალათბურთის პრესტიჟს, ვიდრე „დინამო", და ამიტომაც მოახდინა გადაჯგუფება (ევროპული ტურნირების დებულებით. ამის უფლება მას ჰქონდა).

ახლა კი ჩემპიონის პირველ მატჩზე: ანგარიში, რა თქმა უნდა, ზუსტად არ ასახავს ძალთა შეფარდებას. „დინამო" თავისი პოტენციით უფრო დამაჯერებელ გამარჯვებას იმსახურებდა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი ფაქტორი, რამაც, ჩვენი აზრით, განაპირობა შეხვედრის ხასიათი. „კალევი" „დინამოსთვის" ტრადიციულად „უხერხული" მეტოქეა (გაიხსენეთ წინა ჩემპიონატის თბილისში ჩატარებული მატჩები) და ოლიმპიელთა დაბრუნების შემდეგ (ტომსონი, კრიკუნი) იგი კიდევ უფრო „უხერხული" გახდა. ამ ფაქტმა განაპირობა შეხვედრის ერთობ დაძაბული ხასიათი.

პირველ ნახევარში ესტონელებმა სუსტად ითამაშეს. ამიტომაც ბევრს თბილისელთა იოლი გამარჯვების ყალბი შთაბეჭდილება შეექმნა. შესვენების შემდეგ „კალევმა" ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ჩემპიონს თავისი ძალა, მაგრამ თბილისელებმა მოიგეს ძნელი მატჩი და სატურნირო ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერეს. გათამაშების სტარტზე, როცა კოლექტივის საბრძოლო მექანიზმი მთელი ძალით ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა, ეს მეტად საჭირო გამარჯვება იყო.

**ნ. ბუბუშვილი.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: ზ. საკანდელიძე (№ 6) მაღალ ნახტომში უტევს მეტოქის კალათს.**

ფოტო ა. ხაიკოვისა.

# სხვა შეხვედრები

გუშინწინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა ჩემპიონატის პირველი კალენდარული მატჩები.

**მოსკოვში** თამაშობდნენ ადგილობრივი ცსკა და თბილისის „ბურევესტნიკი". შეხვედრის შედეგი თითქმის ეჭვს არ იწვევდა, მით უმეტეს, რომ არმიელები თამაშობდნენ თავიანთ მოედანზე, თავისი გულშემატკივრების წინაშე. ცსკა-მ გაიმარჯვა კიდეც — 68:59 (33:30), მაგრამ ეს წარმატება გუნდსაც და მის მწვრთნელსაც დიდი ნერვული და ფიზიკური ენერგიის ფასად დაუჯდათ.

უკვე პირველსავე ტაიმში ცხადი გახდა, რომ ბრძოლის შედეგი ბევრად იქნებოდა დამოკიდებული ორი ცენტრალური თავდამსხმელის — ოლიმპიური ნაკრების წევრების ს. კოვალენკოსა და ვ. ანდრეევის დუელზე. პირდაპირ უნდა ვთქვათ: ეს ბრძოლა თბილისელმა მოიგო. კოვალენკო მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გამოდგა — მან 21 ქულა შესძინა გუნდს. ანდრეევმა თავის კოლექტივს მხოლოდ 15 ქულა მისცა.

„ბურევესტნიკი" წინ იყო მთელი მეორე ნახევრის მანძილზე და მხოლოდ თამაშის მიწურულს არმიელთა უფრო გამოცდილმა კოლექტივმა გამარჯვების სასწორი თავის სასარგებლოდ გადახარა.

**რიგის** ვეფ-მა შინ მიიღო უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — მოსკოვის „დინამო". შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 61:57.

მასპინძელი დამარცხდა **ლენინგრადშიც**. ადგილობრივმა „სპარტაკმა" დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფარ-ხმალი დაყარა კიევის „სტროიტელთან" — 58:65.

**კაუნასში** „ჟალგირისისა" და საკავშირო ჩემპიონატის მეორე დებიუტანტის — ალმა-ათის „ლოკომოტივის" ორთაბრძოლა მასპინძლებმა მოიგეს — 82:72.

## ჯუფდა...

სპორტის სასახლეში ჩატარდა ამ გუნდების მეორე მატჩი. გამარჯვება ამჯერადაც მასპინძლებს დარჩათ — 85:73 (35:34).

# ამოიცნეს...

ზუსტად ერთი თვის წინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ფოტოსურათი წარწერით: „თუ გამოიცნობ, მკითხველო?" რედაქცია მკითხველებს სთხოვდა გამოეგზავნათ პასუხი და სიამოვნებით აღნიშნავს, რომ გამოხმაურება საკმაოდ ცხოველი იყო.

რედაქციამ მკითხველთა 127 წერილი მიიღო ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველი კუთხიდან. დავასახელებთ ზოგიერთ მკითხველებს მათგან, ვისი პასუხიც უფრო ამომწურავი იყო. ესენი არიან: ვ. ბოჭორიშვილი, ქ. ებანოიძე, ე. ვასილევი, ი. შოგირაძე (ყველა — თბილისი), შ. მხეცაძე, ა. ქვაჩაკიძე (ორივე — ქუთაისი), ნ. სიჭინავა (ბათუმი), ლ. შირინსკაია (სოხუმი), ვ. შოშიაშვილი (თელავი), ვ მხეიძე (თერჯოლა), მ. ფარცხალაძე (ზესტაფონი), მ. გვარჯალაძე (მახარაძის რაიონი, სოფ. ურეკი), ქ. კაკიაშვილი (ქვიშხეთი), ჟ. ბაბალაშვილი (აზერბაიჯანის სსრ, კახის რაიონი, სოფ. ქოთოქლო), ი. ჭაჭაშვილი (აზერბაიჯანის სსრ, კახის რაიონი, სოფ. ალიბეგლო), თ. ხუხუნაშვილი (ბორჯომის რაიონი, დაბა ახალდაბა), ო. გეგეშიძე (სამტრედია), მ. ჯუხარიძე (რუსთავი), დ. ჭიბოშვილი (ყვარელი) და სხვ. აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ფოტოზე „ამოიცნეს" მძლეოსნები ვ. ბრუმელი, ვ. სანეევი, ვ. სკვორცოვი, რ. შავლაყაძე, ფეხბურთელები ა. კავაზაშვილი, მ. ხურცილავა და, ასე გასინჯეთ, კოსმონავტი გ. ბერეგოვოიც კი. შეუნდოთ უფალმა...

აი, რა გვიამბო თვით ამ ფოტოსურათის გმირმა დ. შანიძემ: „კორპუსის ირგვლივ, სადაც საბჭოთა ოლიმპიელები ვცხოვრობდით, უამრავი სპორტული ბაზაა და მუხლების გასამაგრებლად სიმაღლეზე ხტომაშიც ვვარჯიშობდი. ერთ-ერთი ასეთი ვარჯიშის დროს 150 სანტიმეტრიდან დავიწყე და თანდათან 10-10 სანტიმეტრს ვუმატებდი. როცა თამასის სიმაღლემ 190 სანტიმეტრს მიაღწია, ჩემს გარშემო ბევრმა ჟურნალისტმა და სპორტის მოყვარულმა მოიყარა თავი. მეკითხებოდნენ, ოლიმპიადაზე რომელი ადგილის იმედი გაქვსო? ერთმა კორესპონდენტმა ისიც მკითხა, სიმაღლეზე ხტომაში შენი საუკეთესო შედეგი რა არისო?

როცა ავუხსენი, რომ ძალოსანი ვარ და სიმაღლეზე ხტომა ჩემი სპეციალობა არაა-მეთქი, არ დამიჯერა და თავის კოლეგებს მოუხმო. ასე რომ, სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა 190 სანტიმეტრი დავძლიე".

# მეგობრის ხსოვნას მიუძღვნეს

ერთი წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა ჯემალ ზანდუკელი, ნიჭიერი ახალგაზრდა ველოსიპედისტი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, მოსკოვის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ასპირანტი, სპორტის ოსტატი.

და აი, გუშინწინ თბილისის ტრეკზე შეიკრიბნენ დედაქალაქის უძლიერესი ველოსიპედისტები, რათა მონაწილეობა მიეღოთ მეგობრის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში.

სტარტი პირველად 200 მეტრზე გიტში მონაწილეებს მიეცათ. გაიმარჯვა „დინამოს" წარმომადგენელმა ი. მელიკოვმა — 12,8. II ადგილზეა ბურევესტნიკელი ი. ლიტვინოვი, ხოლო III — ნ. გოგიტიშვილი (ასკ).

500 მეტრზე ადგილიდან რბოლაში პრიზიორებმა ადგილები გაცვალეს. გაიმარჯვა ლიტვინოვმა — 37,5. II ადგილი წილად ხვდა მელიკოვს.

სპრინტში I ადგილი დაიკავა გოგიტიშვილმა, ხოლო ჯგუფურ რბოლაში ბურევესტნიკელმა ი. ტერეშჩენკომ.

შეჯიბრების პროგრამაში შემავალი ამ ოთხი სახეობის ჯამში დაგროვილი ქულებით ჯ. ზანდუკელის სახელობის თასი გადაეცა ნ. გოგიტიშვილს. პრიზი გამარჯვებულს გადასცა 5 წლის ინგა ზანდუკელმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის ოსტატმა ი. მელიკოვმა და მისმა თანაგუნდელებმა მსაჯთა კოლეგიას უმიზეზო პროტესტი გამოუცხადეს და თვითნებურად მიატოვეს შეჯიბრება. მელიკოვისა და სხვა დინამოელთა არასპორტული საქციელი მით უფრო გასაკიცხია, რომ ეს დაღუპული მეგობრის ხსოვნის თასზე გამართულ ასპარეზობაში მოხდა.

**ა. ჩიჩინაძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

# საინტერესო მატჩი

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგურმა მატჩმა ფეხბურთში, რომელიც გუშინწინ შედგა თბილისის „დინამოს" სტადიონზე საქართველოს ჩემპიონს — თბილისის არმიელთა გუნდსა და რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებს შორის.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება წილად ხვდათ არმიელებს — 1:0.



„დინამოსთან" პირველი მატჩის შემდეგ ესტონელთა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. კულამმა მასპინძელთა თამაში ზედმეტად ძალისმიერად მიიჩნია. კალათბურთი ათლეტური სპორტია, სადაც ზომიერების ფარგლებში მოქცეული ძალისმიერი ბრძოლა წესითაა ნებადართული. ის „ხერხი" კი, რომელსაც ერთ-ერთი ესტონელი მოთამაშე ქორქიას წინააღმდეგ მიმართავს (იხ. სურათი), წესითაც აკრძალულია და სპორტული ეთიკის თვალსაზრისითაც.

ფოტო ა. ხაიკოვისა.

# ახალი ამბები

● **მადრასი**, 1 დეკემბერი. მინსკის „დინამოს" ფეხბურთელები განაგრძობენ ტურნეს ინდოეთში. მეოთხე შეხვედრა მინსკელებს ჰქონდათ მადრასის შტატის ნაკრებთან და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 2:0.

● **მალიორკა**, 1 დეკემბერი. ესპანეთის ამ კუნძულზე გრძელდება საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეებს მოუყარა თავი. VI ტურის შემდეგ დაწინაურდნენ დიდოსტატები ვ. კორჩნოი (სსრ კავშირი) და ბ. ლარსენი (დანია) — 5-5 ქულა. ლიდერებს 1 ქულით ჩამორჩება საბჭოთა მოჭადრაკე ბ. სპასკი. VI ტურში კორჩნოიმ დაამარცხა ჰ. ვესტერინენი (ფინეთი), ლარსენმა — პ. ბენკო (აშშ). ამ დღეს სპასკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რუმინელ ფ. გეორგიუსთან მსოფლიო ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა კი წააგო პარტია დიდოსტატ ბ. ივკოვთან (იუგოსლავია).

● **ბაქო**, 1 დეკემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი რუსულ შაშში. ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოველმა ნ. აბაციევმა, რომელმაც 10,5 ქულა მოაგროვა. 10 ქულით ფინიშთან ერთბაშად 4 მოშაშე მივიდა. ამიტომ საჭირო შეიქნა მიემართათ კოეფიციენტთა ცხრილისთვის. ცხრილმა ვერცხლის მედალი „მიანიჭა" ჩემპიონატის დებიუტანტს, 21 წლის ნ. კონონოვს (ლენინგრადი). III-IV ადგილები გაიყვეს ქვეყნის ექს-ჩემპიონმა ვ. გაბრიელიანმა (ბაქო) და ე. ტიუნევმა (ლენინგრადი). მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ბრინჯაო ბაქოელსაც მიენიჭა და ლენინგრადელსაც.

# ქამი და ტვირთი დიდებისა

თითქოს ყველაფერი უკვე ნათქვამია, რისი თქმაც ირენას შესახებ შეიძლებოდა. დაკვირვებითაა შესწავლილი მისი ვრცელი (მიუხედავად ახალგაზრდობისა) სპორტული ბიოგრაფიის ყოველი ფურცელი. შესწავლილია მისი რბენისა და ხტომის კინოგრამები. მთელი ტრაქტატები შეიქმნა იმის შესახებ, როგორ იქცა სუსტი გოგონა ძლიერ სპორტსმენად, როგორ გაიკაფა გზა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ სასკოლო და იუნიორთა შეჯიბრებებში და 18 წლისამ ტოკიოში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. არაა დავიწყებული ის ამბავიც, რომ, მიუხედავად გულმოდგინე წვრთნისა, ირენა საუკეთესო სტუდენტიცაა. უყურადღებოდ არც ირენას ქმარი დარჩენიათ — სპორტული ფოტოგრაფიის ოსტატი, მრავალი საერთაშორისო ფოტოგამოფენის ლაურეატი იანუშ შევინსკი. მოკლემეტრაჟიანი ფილმიც კი გადაიღეს ამ მეგობრულ ახალგაზრდულ წყვილზე. ამ ზაფხულს ეს ფილმი ვარშავაში ვნახე.

... ირენა დაბალ სტარტზე ვარჯიშობს იანუში მინდვრის განაპირას დგას ფოტოაპარატით ხელში. შემდეგ მას უკვე პორტატიული კინოკამერა უჭირავს.

ფიზკულტურის აკადემიის ცარიელ კინოდარბაზში, სადაც ამ ფილმს ვუყურებთ, ჩუმი სიცილი გაისმა. იანუში სავარძელში წრიალებს: „თუთიყუშს არ ვგავარ? ბიჭებმა მაიძულეს აქ დადგომა, თორემ მე ამ წერტილიდან ირენასთვის საერთოდ არასოდეს გადამიღია...“ შემდეგ „ნამდვილი წერტილებიდან“ გადაღებული მისი სურათების სანახავად წავედით. გაგვაოცა ერთმა ფოტომ: დაჭერილია დაშვების მომენტი. ირენა ჯერ ისევ ჰაერშია და პირდაპირ ფოტოობიექტივისკენ მოფრინავს. ხელები გაშლილია, თავი წინ აქვს დახრილი, ფეხებით უკვე შეხებია სილას და აუშლია. ისეა გადაღებული, რომ სილა მძლავრი აფეთქების ჟამს ჰაერში ატყორცნილ მიწის ღრუბელს ჰგავს. ეპიცენტრშია შთაგონებით გაცისკროვნებული, სრულიად უცნობი სახე ირენასი...

მაშინ გავიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა ირენა კირშენშტეინ-შევინსკას ინტერვიუს გაგრძელება, იმ საუბრის გაგრძელება, რომელიც წინა ორ წელიწადს ითვლის.

აი, ირენას აზრები, გამოთქმული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში:

### 1966 წლის სექტემბერი. ბუდაპეშტი. ევროპის პირველობა

„მე ძალიან მიყვარს რბენა, მიყვარს სისწრაფის განცდა, მიყვარს, როცა სახეში ქარი მცემს. როცა სწრაფია, ადამიანი თავს უფრო ძლიერად გრძნობს“.

მეორე შეკითხვაზე ევროპის სამგზის ჩემპიონი ამბობს:

„ხანში რომ შევალ, შეიძლება ვიგრძნო კიდეც დიდების ტვირთი. ახლა კი იგი სულაც არ მამძიმებს. ესე იგი, არ ვფიქრობ ამ ტვირთზე. რასაკვირველია, როცა სამართლიანად გაქებენ, სიამოვნებას გრძნობ. უდიდეს კმაყოფილებას განიჭებს ის, რომ კარგად ისწავლე გაკვეთილი, რომ ყველაფერი ასე კარგად იცი და ეს მასწავლებლისთვისაც ნათელია. მე ეს სკოლიდან არ დამავიწყდება. მაგრამ მხოლოდ ფრიადზე, მხოლოდ ნიშანზე ფიქრი... როგორ გითხრათ, ეს უბრალოდ საზიანოა. ჩნდება ზედმეტი დაძაბულობა. საერთოდ, ჩემპიონებს აქვთ წაგების უფლება და ამის გასამართლებელი საბუთი მარტო სურდო და ფეხის გადაბრუნება არ უნდა იყოს. არ მესმის მათი, ვინც ჩემპიონებისგან მხოლოდ გამარჯვებას ელის. რა თქმა უნდა, სტარტზე არავინ გამოდის იმ ფიქრით, როგორმე წავაგოო — ეს სასაცილოა. მაგრამ წაგება სიცოცხლის დამთავრებას არ ნიშნავს: მოვა ხვალინდელი დღე, მოვა ახალი სტარტი. თამამად შეიძლებოდა აქ, ბუდაპეშტში, ხტომაში წამეგო ჰოლანდიელ ბაკერთან, რომელიც შეუპოვარი სპორტსმენია და კიდევ გვაჩვენებს თავის ძალას, შეიძლებოდა წამეგო რუმინელ ვისკოპოლეანუსთან და თქვენს ტალიშევასთან. ხტომა თამაშია, ძალიან მიმზიდველი, ძალიან სარისკო თამაში. შეიძლება ამიტომაც მიყვარს იგი. თუმცა ხტომაზე როდისმე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ეს დიდი თემაა ჩემთვის. ვშიშობ, რომ, თუ ლაპარაკი დავიწყე, ველარ გავჩერდები... რატომ ვახსენე მარცხი? იმიტომ, რომ მომავალ ოლიმპიადას ფხიზლად უნდა შევხედო. მწვრთნელი ხშირად მეუბნება ამას. ჩვენ ვხედავდით, რა ხდებოდა ბუდაპეშტში. ევროპაში ქალებმა გემო გაუგეს მძლეოსნობას, მის სილამაზეს. წინ კი მთელი ორი წელია“.

### 1967 წლის ივლისი. მოსკოვი. ზნამენსკების მემორიალი.

ირენამ მოკლე სპრინტის ფინალი მოიგო. ხტომის სექტორში არ გამოჩენილა.

„რა მოხდა? — განსაკუთრებული არაფერი. პატარა ტრავმა და დიდი საზრუნავი გამოცდებთან დაკავშირებით. დავიღალე. ტრავმა კი მუდამ ცუდ გუნებაზე გაყენებს კაცს. გადავწყვიტე მოსკოვში კიდევ ერთხელ მეცადა ძალა სპრინტში. კუსოჩინსკის მემორიალზე ნაჩვენები 11 წამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ოლიმპიადამდე დარჩენილ ერთ წელიწადში მთავარი მიზანი სისწრაფეში დაოსტატებაა.

ეს სეზონი ძალიან მნიშვნელოვანია. მეტოქეებს სწორედ ახლა უნდა დავუკვირდე. ოლიმპიურ წელიწადს ყველა ფორმის საბოლოოდ ჩამოყალიბებას ცდილობს, ყველა მაღალი შედეგებისთვის იბრძვის. ის ყველაფერი კი, რასაც ეს შედეგები შეიძლება ეყრდნობოდეს, ახლა ჩანს. შენიშნეთ ნორვეგიელი ბერტელსონი? ბუდაპეშტში იგი მნიშვნელოვანს არაფერს წარმოადგენდა, ახლა კი კარგად ხტებოდა. სარბიელზე უფრო ხშირად გამოვალ. ეს საუკეთესო წამალია. საჭიროა შენს გვერდით განუწყვეტლივ გრძნობდე მეტოქის გახშირებულ სუნთქვას. ახლა ქალებმა ვაჟებისგან გადაიღეს მოდა, რაც შეიძლება ხშირად ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამიტომ კარგია, რომ ამგვარ ტრადიციულ მემორიალებს ევროპის თასი და ზამთრის თამაშებიც დაემატა. ჩვენთვის, ევროპელებისთვის, დახურულ შენობებში შეხვედრები ხსნაა თბილ ქვეყნებში მცხოვრები სპორტსმენი ქალების შემოტევისგან. ამ ქვეყნებში ხომ მთელი წლის მანძილზე შეიძლება ვარჯიში...“

### 1967 წლის სექტემბერი. კიევი. ევროპის თასის ფინალი

ირენამ იოლად, ძალდაუტანებლად მოიგო 100 მეტრზე რბენა — 11,2. ეს შედეგი ბევრისთვის მიუწვდომელია, მაგრამ ირენასთვის ჩვეულებრივი გახდა. ნახევარ წრეზე სირბილი კი სასწავლო სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოდგეს: ირენა ბილიკზე მოფრინავდა და თითქოს სულ ოდნავ ეხებოდა მას. მსუბუქად გაიარა მოსახვევი. ზუსტად 23 წამი.

„დიახ, დიახ, გეთანხმებით: ძალიან მაღალი შედეგია. მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში შეიძლება უფრო ნელაც გავირბინო ეს მანძილი და მოვიგო, ან არადა, უფრო სწრაფად დავფარო დისტანცია და მაინც წავაგო. არავინ უწყის, როგორ წარიმართება ფინალი. როგორც ხედავთ, ერთგული ვრჩები საკუთარი თავისა. ამ სეზონშიც ნაკლებად გამოვდივარ მხტომელთა შეჯიბრებებში, უფრო მეტად ვაკვირდები, ვსწავლობ“.

### 1968 წლის ივლისი. ვარშავა.

პან იანუშმა ირენას შემახვედრა, როცა პოლონეთის გუნდი ლენინგრადს უნდა გადაფრენილიყო სსრ კავშირი — გდრ — პოლონეთის მატჩში მონაწილეობის მისაღებად. ირენამ ის-ის იყო, გამოცდები დაამთავრა.

„სპრინტი, სპრინტი, მხოლოდ სპრინტი. ამბობენ, ლენინგრადში სიცივე და წვიმებიაო. ერთიც ვნახოთ, მეხიკოში წვიმაში ჩატარდეს შეჯიბრება? თუმცა პოლონეთში მიჩვეული ვართ ამ აკომპანემენტს. უმაღლეს შეფასებაზე არც ახლა ვფიქრობ, მაგრამ ჩვენში მძლეოსნობის საქმე ძალიან უკან წავიდა და გული შემტკივა ჩემს გუნდზე. ძალიან მინდა დავეხმარო, განსაკუთრებით, ესტაფეტაში. რაც შეეხება სპრინტს, იგი უპირველესი მეჩვენება. საქმე ტექნიკა როდია. შეიძლება შეისწავლო და გადმოიღო ამერიკელი სპრინტერებისთვის დამახასიათებელი არეკნის კუთხე, მაგრამ რას მოგცემს ეს შენი ცოდნის გაღრმავებისთვის, საკუთარი თავის შეცნობისთვის? საქმე ისაა, რომ სისწრაფის გრძნობას, რიტმის გრძნობას დაეუფლო. ყოველ ფიზიკურ ვარჯიშში სისწრაფის გრძნობა ყველაზე მდიდრული, ყველაზე სასარგებლო და მრავალმხრივი გრძნობაა“.

### 1968 წლის სექტემბერი. მოსკოვი — ვარშავა

ინტერვიუ ტელეფონით ჩამოვართვი. ბოლოსდაბოლოს ირენამ გულახდილად მამცნო თავისი მთავარი გატაცება — სიგრძეზე ხტომა. მაშინ მან ორი „თუ“ მოიშველია საუბარში. თუ შეძლებს ერთმანეთს შეუთანხმოს სპრინტი და სიგრძეზე ხტომა, „ჰაერში რბენაში“ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. დაბოლოს, თუ შეიძლება 200 მეტრი თამაშებამდე დაფაროს 23,3 წამში, — მშვიდად იქნება.

ერთი „თუ“, როგორც მოგეხსენებათ, გამართლდა, რასაც იუწყებოდა პრესა: პოლონეთის ჩემპიონატში ირენამ 23,3 აჩვენა.

დაგვრჩა ინტერვიუ მეხიკოში...

### მეხიკო. ოლიმპიური სტადიონი. 1968 წლის 18 ოქტომბერი

პრეს-ცენტრის დარბაზი ტრიბუნებს ქვეშ. სულის მოთქმა ჭირს. ირენა შუაში ზის. ფერი აღარ ადევს გადატანილი მღელვარებისგან. შეიძლება ჯერ მას თავადაც არ შეუძლია განსაზღვროს სიდიადე რეკორდისა, რომელიც ტარტანის ბილიკზე დაამყარა: 200 მეტრი 22,5 წამში! ეს რეკორდი, როგორც ბევრი სხვა, შეიძლება ფანტასტიკურთა რიცხვს მივაკუთვნოთ. პრეს-კონფერენციის შემდეგ მოვახერხე მასთან ცალკე დალაპარაკება და მოვაგონე ყველა წინა ინტერვიუ:

— თქვენთვის ასე წარუმატებლად რატომ დამთავრდა ხტომა?

— ტარტანს სხვა რიტმი სჭირდება. ძალიან ძლიერი არეკნი არ გამოდგება. მე ვერ დავიმორჩილე გარბენი, ვერ ვიგრძენი რიტმი და ამიტომ ძირითად შეჯიბრებაშიც კი ვერ მოვხვდი. 200 მეტრი კი სივრცეა. აქ უფრო იოლია მანევრირება...

— ფინალის მომენტში ფიქრობდით რეკორდზე?

— არა, მედალზე ვფიქრობდი. ფინიშამდე 20 მეტრი რომ დარჩა, კიდევ ვაგებდი. ერთი ამოსუნთქვა და... ერთი სიტყვით, ძალა მეყო.

— თქვენი გეგმები?

— ისევ სიგრძეზე ხტომა. და, რა თქმა უნდა, 7 მეტრი.

ს. ბლიზნიუკი.

## რ. ს. აფციაური

ეროვნული ბიბლიოთეკა



სულ ახალგაზრდა — 23 წლისა გარდაიცვალა სპორტის ოსტატი ტყვიის სროლაში, თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი როლანდ სერგოს ძე აფციაური.

როლანდის ბიოგრაფია სულ რამდენიმე სტრიქონით შეიძლება დაიწეროს: დაიბადა 1945 წელს, 1962 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, იმავე წელს სწავლა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1964 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, არმიიდან დაბრუნების შემდეგ კი კვლავ სწავლა განაგრძო.

სროლაში ვარჯიში როლანდმა მოწაფეობის წლებშივე დაიწყო, — იყო მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების წევრი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის. 1966 წელს როლანდმა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჩემპიონის სახელთან ერთად სპორტის ოსტატის წოდებაც მოიპოვა და იმავე წელს დაისაკუთრა საქართველოს ჩემპიონობა. არმიაში სამსახურის დროს მას ხშირად დაუცავს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ღირსება სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებაში.

როლანდი სწავლასთან ერთად არც საზოგადოებრივ სპორტულ საქმიანობას ივიწყებდა. იგი იყო თბილისის ლენინის რაიონის დოსააფის კომიტეტის ინსტრუქტორი ტყვიის სროლაში და თავის გამოცდილებას დაუზარლად გადასცემდა ახალგაზრდა სპორტსმენებს.

როლანდი კარგი სპორტსმენი, გულისხმიერი ჭაბუკი და ნაღდი მეგობარი იყო. ასეთი ემახსოვრებათ იგი მის ახლობლებსა და ამხანაგებს.

ტყვიის სროლის რესპუბლიკური ფედერაცია,

საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრები გუნდის წევრები.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

## პრემიერის აზრით

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა, რომელიც ფეხბურთის დიდი მოყვარულია და კლუბ „ჰიდერსფილდ ტაუნს“ ქომაგობს, საინტერესო იდეით მიმართა ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას. მისი აზრით, ბრიტანულ ფეხბურთს დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო ლიგის შექმნა, სადაც გამოვლენ ინგლისის, შოტლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და უელსის უძლიერესი საკლუბო გუნდები. ამ ლიგის გარდა გათამაშდება ინგლისის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონატებიც, როგორც ეს ახლაც ხდება (უელსელები ასეთ პირველობას არ ატარებენ).

მართალია, ვილსონის იდეა ახალი არაა, მაგრამ ბრიტანული საფეხბურთო ორგანიზაციები მას დღემდე მხარს არ უჭერდნენ. ახლა კი ვნახოთ, რა მოხდება...

## პრემია „ესტუდიანტესს“

საკონტინენტთაშორისო თასის მომგები „ესტუდიანტესის“ (არგენტინა) თვითეულმა ფეხბურთელმა ჯილდოდ 2,5 მილიონი პესო (დაახლოებით 3 ათასი გირვანქა სტერლინგი) მიიღო.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე და საკონტინენტთაშორისო თასზე „ესტუდიანტესმა“ ჩაატარა სულ 18 მატჩი — 12 მოიგო, 3 ფრედ დაამთავრა და 3 წააგო. ამ თამაშებში გუნდმა გაიტანა 27 გოლი და 13 მიიღო. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „ესტუდიანტესი“ ძნელი გუნდი იყო არა მარტო მეტოქეთათვის, არამედ მსაჯებისთვისაც, ვინაიდან მისი მოთამაშეები საკმაოდ უდისციპლინოდ იქცეოდნენ. საკმარისია ითქვას, რომ ამ 18 მატჩში „ესტუდიანტესის“ მოთამაშეებს ექვსჯერ დაატოვებინეს მინდორი.

## აშშ-ს ლიგის რეორგანიზაცია

17 კლუბიდან, რომლებიც აშშ-ს საფეხბურთო ჩემპიონატში გამოდიოდნენ, 4 საბოლოოდ გაკოტრდა და აღარ მიიღებს გათამაშებაში მონაწილეობას. დარჩა 13 გუნდი.

აშშ-ს ლიგის გადარჩენისა და მაყურებელთა მიზიდვის მიზნით დადგინდა შეიქმნას ლიგის ნაკრები, რომელიც სისტემატურად ითამაშებს ატლანტას, ბალტიმორის, კლივლენდის, დალასის, კანზას-სიტის, ოკლენდის, სენტ-ლუისისა და ვაშინგტონის სტადიონებზე და არა მარტო ადგილობრივ გუნდებთან, არამედ უძლიერეს უცხოურ კოლექტივებთანაც. აშშ-ს ლიგის ნაკრებმა დაგეგმა შეხვედრები „რეალთან“, „სანტოსთან“, „მანჩესტერ იუნაიტედთან“, „ესტუდიანტესსა“ და „მილანთან“.

ლიგის ნაკრებს სათავეში ჩაუდგებიან გამოცდილი უცხოელი მწვრთნელები.

▲ 10 მილზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ინგლისელმა რ. ჰილმა. ლონდონში გამართულ შეჯიბრებაში მან 46.44,0-ში გაირბინა 16093 მეტრი. მანვე 20 კილომეტრზე ინგლისის ახალი რეკორდიც დაამყარა—58,38,0. ერთსაათიან რბენაში ჰილმა 20 კმ 471 მ აჩვენა, რაც ამ სახეობის ისტორიაში მეორე შედეგია გ. რულანტსის 1965 წლის მაჩვენებლის (20 კმ 664 მ) შემდეგ.

## ჩემპიონი აგებს — 1:6!

ოსლოს „ლინმა“, რომელიც ლიდერობდა ნორვეგიის მთელი ჩემპიონატის მანძილზე, ბოლო მატჩი შინ წააგო „სტროემგოდსეტთან“ ანგარიშით 1:6! ამ წაგების მიუხედავად, „ლინმა“ 28 ქულით ადრევე გაინაღდა ნორვეგიის 1968 წლის ჩემპიონობა. ასეთი მაღალი შედეგისთვის ამ ქვეყნის ჩემპიონატში, სადაც 12 გუნდი მონაწილეობს, 1958 წლიდან მოყოლებული არავის მიუღწევია.

II ადგილზე გავიდა შარშანდელი ჩემპიონი „როზენბორგი“, რომელმაც 24 ქულა მოაგროვა.

## ლოძის სპორტის სასახლის ყინულზე

ლოძი, 2 დეკემბერი. აქ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში. საბჭოთა სპორტსმენებმა ორ სახეობაში იმარჯვეს: ვაჟთა შორის ყველას აჯობა ლენინგრადელმა ს. ვოლკოვმა, ხოლო წყვილთა სრიალში — მოსკოველებმა ტ. შარანოვამ და ა. ევდოკიმოვმა. ქალთა შორის საუკეთესო იყო „ყინულის მასპინძელი“ ა. ზელინსკაია, ხოლო ცეკვებში — ინგლისელები ვ. ჰანტი და ნ. ტეილორი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი და საღამოს დასწრებული სწავლების ფაკულტეტის დეკანატი სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 1968/69 წლის ზამთრის სასწავლო-საგამოცდო სესიები დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დაიწყება:

მე-4 კურსის სტუდენტებისთვის 1968 წლის 2 დეკემბერს.

მე-5 კურსის სტუდენტებისთვის 1968 წლის 9 დეკემბერს.

მე-3 კურსის სტუდენტებისთვის 1969 წლის 17 თებერვალს.

სტუდენტებმა სესიაზე გამოცხადებისას უნდა წარმოადგინონ სათანადო უწყების მიერ გაცემული ცნობა სამსახურის შესახებ (მაგალითად, მასწავლებლებმა — განათლების განყოფილებიდან).

თუ სტუდენტი სესიაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება, ეს წერილობით და სათანადო საბუთის წარდგენით უნდა აცნობოს დეკანატს სესიების დაწყებამდე.

წინა სემესტრის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტები, რომლებიც 31 დეკემბრამდე არ გამოასწორებენ მდგომარეობას, დატოვებული იქნებიან იმავე კურსზე ან გაირიცხებიან ინსტიტუტიდან.

მეცადინეობა დაიწყება დილის 9 საათზე.

რეგისტრაცია ჩატარდება იმავე დღეს.

დაუსწრებელი და საღამოს დასწრებული სწავლების ფაკულტეტის დეკანატი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 6 უე 12067